Register your new Bosch now:
www.bosch-home.com/welcome

გამწოვი
DFT63CA20Q, DFT63CA50Q

BOSCH

მოხმარების ინსტრუქცია

სარჩევი

მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მითითება . . . 3

გარემოს დაცვა 6

ენერგიის დაზოგვა 6
ეკოლოგიურად უსაფრთხო განკარგვა 6

ექსპლუატაციის ტიპები 6

ჰაერის გაწოვის რეჟიმი 6
რეცირკულაციის რეჟიმი 6

დანადგარის გამოყენება 7

ფილტრის უჯრა 7
განათება 7

გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება 8

ხარვეზები , როგორ მოვიქცეთ ? 10

ხარვეზების ცხრილი 10

კლიენტთა მომსახურების სამსახური 11

აქსესუარები რეცირკულაციის რეჟიმისათვის. 11

პროდუქტების , აქსესუარების , სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ ინტერნეტში , ვებგვერდზე : **www.bosch-home.com** და ონლაინ მაღაზიაღი , ბმულზე : **www.bosch-eshop.com**

მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მითითება

წაიკითხეთ ეს ინსტრუქცია საფუძვლიანად . მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ თქვენი დანადგარის უსაფრთხოდ და სწორად გამოყენებას . შეინახეთ გამოყენებისა და მონტაჟის ინსტრუქცია შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მფლობელისათვის .

მოწყობილობა შეიძლება გამოყენოთ უსაფრთხოდ მხოლოდ მაშინ , თუ იგი სწორად , უსაფრთხოების ინსტრუქციების მიხედვით არის დაყენებული . მემონტაჟემ უნდა უზრუნველჰყოს , მოწყობილობის იდეალური ექსპლუატაცია მის მონტაჟის ადგილზე .

დანადგარი განკუთვნილია მხოლოდ ადგილობრივი , საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის . დანადგარი არ არის განკუთვნილი გარე მოხმარებისათვის . ოპერირების პროცესში , ნუ დატოვებთ დანადგარს უყურადღებოდ . მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას , დანადგარის არასათანადო ან არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებაზე .

ეს დანადგარი განკუთვნილია ზღვის დონიდან მაქსიმუმ 2000 მეტრ სიმაღლეზე გამოყენებისათვის .

ამ პროდუქტის გამოყენება არ არის ნებადართული შეზღუდული ფიზიკური , სენსორული ან გონებრივი უნარების ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირების მიერ (მათ შორის ბავშვები), გარდა შემთხვევებისა , როდესაც აღნიშნული პირები , დანადგართან ურთიერთობის მანძილზე , უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან .

ბავშების თამაში დანადგართან დაუშვებელია . გაწმენდითი სამუშაოები , ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ , გარდა შემთხვევებისა , როდესაც ასაკი არის 8 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ .

მოარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები დანადგარს და მის გაყვანილობებს .

შეამოწმეთ დანადგარი შეფუთვიდან ამოღბის შემდეგ . ტრანსპორტირებისას დაზიანების გამოვლენისას არ შეაერთოთ .

ეს დანადგარი არ არის განკუთვნილი გარე ტაიმერით ან დისტანციური მართვით გამოყენებისათვის .

⚠ გაფრთხილება – დახრჩობის საფრთხე !
შესაფუთი მასალები საშიშია ბავშვებისათვის . არასოდეს მისცეთ ბავშვებს უფლება, ითამაშონ შესაფუთი მასალებით .

⚠ გაფრთხილება – სიკვდილის საფრთხე !
ნამწვავი აირის უკან შემობერვით მოწამვლის რისკი .
ყოველთვის უზრუნველჰყავით ოთახში სათანადო სუფთა ჰაერის მიწოდება , თუ დანადგარი ოპერირებს გამონაბოლქვი აირის რეჟიმში , როდესაც ამავდროულად ოთახში ჰაერზე დამოკიდებული სითბოს გამომცემი დანადგარი მუშაობს .



ჰაერზე დამოკიდებული სითბოს გამომცემი დანადგარები (მაგ : გაზის , ზეთის , ხის ან ნახშირის გამათბობლები ან წყლის გამაცხელებლები) წვის ჰაერს , იმ ოთახიდან იღებენ, რომელშიც დამონტაჟებულნი არიან და შესაბამისად აირის ნამწვავის გამოყოფა , გამოსაბოლქვი აირის სისტემის (მაგ . საკვამური) მიერ ღია სივრცეში ხდება . აქტიურ ორთქლის გამწოვთან ერთად ჰაერის გაწოვა ხდება, როგორც სამზარეულოდან, ასევე მეზობელი ოთახებიდანაც - ნაწილობრივი ვაკუუმი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში , თუ საკმარისი სუფთა ჰაერი არ მიეწოდება ოთახებს . გაზქურიდან ან გამწოვის ღეროდან გამოსული მომწამვლელი აირი ან გამონაბოლქვი ისევ საცხოვრებელ ფართში აღწევს .

- ამიტომ , ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადექვატური შემომავალი სუფთა ჰაერი .
- მხოლოდ ჰაერის შემომტანი / გამწოვი კედლის ყუთი ვერ უზრუნველყოფს საჭირო ლიმიტის დაცვას .

უსაფრთხო მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ , როდესაც იმ ადგილას სადაც გათბობის დანადგარია დამონტაჟებული ნაწილობრივი ვაკუუმი არ აღემატება 4 პა (0.04 მბარ). ამის მიღწევა შესაძლებელია მაშინ , როდესაც წვისთვის საჭირო ჰაერს საშუალება აქვს შევიდეს დაულუქავ ღიობებში , მაგალითად კარებში , ფანჯრებში , შემომავალ / გამწოვ კედლის ყუთებში ან შევიდეს სხვა ტექნიკური საშუალებებით .



ყველა შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია პასუხისმგებელ კვალმსადენის მწენდავ პირთან. იგი შეძლებს შეაფასოს სახლის მთელი სავენტილაციო კონფიგურაცია და მოგცეთ რჩევა შესაფერისი სავენტილაციო ზომების შესახებ .
აუკრძალავი ოპერაცია შესაძლებელია ჩატარდეს თუ ორთქლის გამწოვი უკლებლივ მოქმედებს საჰაერო რეჟიმში .

⚠ გაფრთხილება – ხანძრის რისკი !

- ცხიმის ფილტრში არსებულ ცხიმის ნარჩენებს შეიძლება ცეცხლი წაეკიდოს . **გაწმინდეთ ცხიმის ფილტრი , სულ მცირე ყოველ 2 თვეში ერთხელ .** არასოდეს ამუშაოთ დანადგარი ცხიმის ფილტრის გარეშე .
- ცხიმის ფილტრში არსებულ ცხიმის ნარჩენებს შეიძლება ცეცხლი წაეკიდოს . დანადგართან სიახლოვეს , არასოდეს იმუშაოთ ღია ალით (მაგ : ცეცხლით). არ დაამონტაჟოთ მოწყობილობა სითბოს გამომყოფ მოწყობილობებთან რომელიც მუშაობს მყარ საწვავზე (მაგ .: ხე , ნახშირი) თუ დახურული, მოუხსნელი საფარი არ აქვს. არ უნდა იყოს მფრინავი ნაპერწკლები .
- ცხელი ზეთი და ცხიმი სწრაფად ალდება . არასოდეს დატოვოთ უყურადღებოდ ხელი ზეთი ან ცხიმი . ცეცხლი არასოდეს ჩააქროთ წყლის გამოყენებით . გამორთეთ კონფორი . ცეცხლი გადასაფარებლის , ხანძარმაქრი გადასაფარებლის ან მსგავსის მეშვეობით უნდა ჩააქროთ .
- როდესაც გაზის სანთურები ოპერირებენ , მათზე განთავსებული სამზარეულოს ჭურჭლის გარეშე , ისინი ძალიან დიდ სითბოს გამოსცემენ . მათ ზემოთ დამონტაჟებული სავენტილაციო დანადგარი შესაძლოა დაზიანდეს ან ცეცხლი წაეკიდოს . გაზის სანთურების ექსპლუატაცია, მხოლოდ მათზე განთავსებული სამზარეულოს ჭურჭლისას მოახდინეთ .
- ერთდროულად , რამოდენიმე გაზის სანთურას მუშაობას , მნიშვნელოვანი სითბოს განპირობება შეუძლია . მათ ზემოთ დამონტაჟებული სავენტილაციო დანადგარი შესაძლოა დაზიანდეს ან ცეცხლი წაეკიდოს . არასოდეს ამუშაოთ ერთდროულად გაზის ორი სანთურა მაქსიმალური ალით 15 წუთზე ხანგრძლივი დროით . ერთი სანთურა , რომელიც 5 კვ - ზე (wok) მეტია , ორი გაზის სანთურის ენერგიის ექვივალენტურია .

⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საფრთხე !
წვდომადი ნაწილები ოპერირებისას ცხელდება. არასოდეს შეეხოთ ცხელ ნაწილებს . მოარიდეთ ბავშვები .

⚠ გაფრთხილება – დაზიანების რისკი !

- დანადგარის შიდა კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ბასრი კუთხეები. ჩაიცვით დამცავი ხელთათმანები .
- დანადგარზე განთავსებული საგნები შეიძლება გადმოვარდეს . ნუ მოათავსებთ დანადგარსე საგნებს .
- LED- განათების ნათურა ძალიან მკვეთრია და შეიძლება თვალების დაზიანება გამოიწვიოს (რისკის ჯგუფი 1). არ უყუროთ პირდაპირ ჩართულ LED-ნათურას 100 წამზე ხანგრძლივად .

⚠ გაფრთხილება – ელექტრო შოკის საფრთხე !

- დეფექტურ დანადგარს ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია . არასოდეს ჩართოთ დეფექტური დანადგარი . გამოაერთეთ ქსელის შტეკერი ან უსაფრთხოების ყუთიდან გამორთეთ დანადგარი . დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას .
- არაპროფესიონალური შეკეთებითი სამუშაოები საფრთხეს განაპირობებს . შეკეთების სამუშაოების წარმოება და დაზიანებული გაყვანილობის გამოცვლა , ნებადართულია მხოლოდ ჩვენს მიერ კვალიფიცირებული კლიენტთა მომსახურების ტექნიკოსის მიერ . თუ დანადგარი დეფექტურია , გამოაერთეთ ქსელის შტეკერი ან უსაფრთხოების ყუთიდან გამორთეთ დანადგარი . დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას .
- სინოტივის შეჭრას , ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია . არ გამოიყენოთ წნევითი ან ორთქლის საწმენდები .

დაზიანების მიზეზები

ყურადღება !

კოროზიის გამო დაზიანების რისკი . კონდენსატის წარმოქმნის თავიდან ასარიდებლად , კერძების მომზადებისას , ყოველთვის ჩართეთ მოწყობილობა . კონდენსატს შეუძლია კოროზიული ზიანის მიყენება .

ყოველთვის გამოცვალეთ დეფექტური ნათურები , რათა დარჩენილი ნათურები გადატვირთვისაგან დაიცვათ .

ელექტრო სქემაში სინოტივის შეღწევით დაზიანების რისკი . საოპერაციო მართვის საშუალებები არასოდეს გაწმინდოთ სველი ჩვარის გამოყენებით .

არასწორი გაწმენდის გამო ზედაპირის დაზიანება . უჟანგავი ფოლადის ზედაპირი , მხოლოდ ქსოვილის მიმართულებით გაწმინდეთ . საოპერაციო მართვისათვის , არ გამოიყენოთ რაიმე სახის უჟანგავი ფოლადის საწმენდები .

ძლიერი ან აბრაზიული საწმენდი აგენტებით გამოწვეული ზედაპირის დაზიანება. არასოდეს გამოიყენოთ ძლიერი ან აბრაზიული საწმენდი აგენტები .

დაბრუნებული კონდენსატით დაზიანების რისკი . გამოსაბოლქვი სადინარი ისე დაამონტაჟეთ , რომ ოდნავ დაშორებული იყოს დანადგარისაგან (1° დაქანება).

გარემოს დაცვა

თქვენი ახალი დანადგარი განსაკუთრებით ენერგოეფექტურია . აქ , თქვენ მიიღებთ რჩევებს , თუ როგორ მოეპყრათ თქვენს დანადგარს , რომ კიდევ უფრო მეტად დაზოგოთ ენერგია და დანადგარის განკარგვის გზებს .

ენერგიის დაზოგვა

- საჭმლის მომზადების დროს , დარწმუნდით რომ საკმარისია ჰერის მიწოდება რათა გამწოვმა იმუშაოს გამართულად დაბალ ხმაზე .
- მოარგეთ ვენტილატორის სიჩქარე საჭმლის მომზადებისგან წარმოქმნილი ორთქლის სიხშირეს . ინტენსიური რეჟიმი , მხოლოდ მისი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ . დაბალი ვენტილაციის სიჩქარე , ნაკლები ენერგიის მოხმარებას ნიშნავს .
- თუ საჭმლის მომზადებისგან წარმოქმნილი ორთქლი სამზარეულოში მომოიფანტა , აირჩიეთ გამწოვის უფრო მაღალი სიჩქარე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში . თუ საჭმლის მომზადებისგან წარმოქმნილი ორთქლი სამზარეულოში მომოიფანტა , გამწოვმა უნდა იმუშაოს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში .
- გამორთეთ გამწოვი , თუ ის აღარ გჭირდებათ .
- გამორთეთ განათება , თუ ის აღარ გჭირდებათ .
- გაწმინდეთ და საჭიროების შემთხვევაში რეგულარულად გამოცვალეთ ფილტრები , რათა გაზარდოთ ვენტილაციის სისტემის ეფექტურობა და თვიდან აიცილოთ ხანძრის საფრთხე .

ეკოლოგიურად უსაფრთხო განკარგვა

შეფუთვა ეკოლოგიურად უსაფრთხოდ განკარგეთ .

ეს დანადგარი აღნიშნულია ელექტრო და ელექტრული დანადგარების (ელექტრო ნარჩენები და ელექტრონული აღჭურვილობები WEEE) ევროპის 2012/19/EU რეგულაციების შესაბამისად .
ევროპის ფარგლებში , ეს რეგულაციები იძლევა ძველი დანადგარების უკან დაბრუნებისა და შეფასების საშუალებას .

ექსპლუატაციის ტიპები

ჰაერის გაწოვის რეჟიმი

შეწოვილი ჰაერი იწმინდება ცხიმის ფილტრების საშუალებით და მილოვანი სისტემით გაიწოვება გარეთ.

მითითება : ჰაერი არ უნდა გადაედინებოდეს ბუხარში , რომელიც დანადგარის მიერ გაზის ან ნავთობ პროდუქტების ნამწვის გამტარად გამოიყენებოდა (ეს არ ეხება ჰაერ გამტარ მოწყობილობებს).

- თუ გამონაბოლქვი ბოლისა ან გაზის საკვამურში , რომელიც არ ფუნქციონირებს, უნდა გაიშვას, საჭიროა მოიპოვოთ პასუხისმგებელი საკვამურის მწმენდავის ნებართვა .
- თუ გამონაბოლქვი გარეთა კედელზე გაიშვება , გამოყენებულ უნდა იქნას სავენტილაციო არხი .

რეცირკულაციის რეჟიმი

შეწოვილი ჰაერი , ცხიმის ფილტრისა და აქტიური ნახშირის ფილტრის მიერ სუფთავდება და ისევ სამზარეულოში ბრუნდება .

მითითება : რეცირკულაციის რეჟიმში სუნების აღმოსაფხვრელად , საჭიროა ჩაშენებული იყოს აქტიური ნახშირის ფილრი. დანადგარის რეცირკულაციის რეჟიმში ოპერირების შესაძლებლობების გაცნობისათვის , მიმართეთ პროსპექტურად ან დაეკითხეთ თქვენს სპეციალიზირებულ მოვაჭრეს . ამისათვის საჭირო აქსესუარების მიღება შეგიძლიათ სპეციალიზირებულ მოვაჭრესთან , კლიენტთა მომსახურების სამსახურში ან ონლაინ მაღაზიაში .

დანადგარის გამოყენება

ეს ინსტრუქცია მოქმედია მოწყობილობის მრავლობითი ვარიანტებისათვის . შესაძლოა აღწერილი იყოს ინდივიდუალური ფუნქციები , რომლითაც არ არის აღჭურვილი თქვენი მოწყობილობა .

მითითება : ჩართეთ გამწოვი , როდესაც იწყებთ კერძების მომზადებას და გამორთეთ ის , მომზადების დასრულებიდან რამოდენიმე წუთში . ეს ყველაზე ეფექტური გზა არის , სამზარეულოს ორთქლის მოსაშორებლად .

მართვა



1 განათება	
	განათების ჩართვა / გამორთვა

2 ვენტილაცია	
0	ვენტილატორის გამორთვა
1	ვენტილატორის სიჩქარე 1
2	ვენტილატორის სიჩქარე 2
3	ვენტილატორის სიჩქარე 3

ფილტრის უჯრა

ფილტრის უჯრის გამოღება

დაიჭირეთ ფილტრის უჯრა შუაში და გამოსწიეთ გარეთ .

განათების მართვის პანელი ხელმისაწვდომია და მოწყობილობა მზადაა მუშაობისთვის .

მითითება : მოწყობილობა იწყებს მუშაობას იმ ფუნქციებით , რაც დაყენებული იყო უჯრის დახურვის დროს .

ფილტრის უჯრის ჩასმა

დაიჭირეთ ფილტრის უჯრა შუაში და შესწიეთ შიგნით .

მითითება : ვენტილაცია და განათება გამორთულია , როდესაც უჯრა დაკეტილია .





ვენტილატორის დაყენება

დანადგარი ჩართვა

დააყენეთ სლაიდერის მმართველი პოზიციაზე 1, 2 ან 3.

დანადგარის გამორთვა

დააყენეთ სლაიდერის მმართველი პოზიციაზე 0.

განათება

განათების ჩართვა და გამორთვა ვენტილაციისაგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი .

დააყენეთ სლაიდერის მმართველი პოზიციაზე 1.

გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება

⚠ გაფრთხილება – დამწვრობის რისკი !
ოპერირების პროცესში , დანადგარი ძალიან ცხელდება , გასაკუთრებით ნათურების სიახლოვეს . გაწმენდამდე , დაელოდეთ დანადგარის გაგრილებას .

⚠ გაფრთხილება – ელექტრო შოკის რისკი !
ტენიანობის გადატანას ელექტრო შოკის განპირობება შეუძლია . დანადგარი გაწმინდეთ , მხოლოდ ნოტიო ჩვრის გამოყენებით . გაწმენდამდე , გამოაერთეთ მაგისტრალური შეერთება ან გამორთეთ დამცავ ყუთში ავტომატური ამომრთველი .

⚠ გაფრთხილება – ელექტრო შოკის საფრთხე !
სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია. არ გამოიყენოთ წნევითი ან ორთქლის საწმენდები .

⚠ გაფრთხილება – დაზიანების რისკი !
დანადგარის შიდა კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ბასრი კუთხეები . ჩაიცვით დამცავი ხელთათმანები .

საწმენდი აგენტები

არასწორი საწმენდი აგენტების გამოყენებით, სხვადასხვა ზედაპირების დაზიანების თავიდან ასაცილებლად , გაითვალისწინეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია . არ გამოიყენოთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე :

- უხეში ან აბრაზიული საწმენდი აგენტები ,
- მაღალი ალკოჰოლის შემცველი საწმენდი აგენტები ,
- მყარი საწმენდი ბალიშები ან საწმენდი ღრუბლები ,
- მაღალი წნევით ან ჭავლით საწმენდები .

გამოყენებამდე , გარეცხეთ ახალი ღრუბელი .

მიჰყევით ყველა ინსტრუქციასა და გაფრთხილებას , მათ შორის საწმენდ აგენტებთან დაკავშირებით .

არე	საწმენდი აგენტი
უჟანგავი მეტალი	ცხელი საპნიანი წყალი : გაწმინდეთ ჭურჭლის ჩვარით და შემდეგ რბილი ჩვრით გაამშრალეთ . უჟანგავი ფოლადის ზედაპირი , მხოლოდ ერთი მიმართულებით გაწმინდეთ . უჟანგავი ფოლადის საწმენდი სპეციალური საშუალებები ხელმისაწვდომია ჩვენს გაყიდვის შემდგომ მომსახურებაში ან სპეციალიზირებულ მოვაჭრეებთან . რბილი ჩვარის გამოყენებით , დაიტანეთ საწმენდი პროდუქტის ძალიან თხელი ფენა .
მოხატული ზედაპირები	ცხელი საპნიანი წყალი : გაწმინდეთ ნოტიო ჭურჭლის ჩვარით და შემდეგ რბილი ჩვრით / პირსახოცით გაამშრალეთ . არ გამოიყენოთ რაიმე სახის უჟანგავი ფოლადის საწმენდები .
ალუმინი და პლასტმასი	შუშის საწმენდი : გაწმინდეთ რბილი ჩვარით .
შუშა	შუშის საწმენდი : გაწმინდეთ რბილი ჩვარით . არ გამოიყენოთ შუშის საფხეკი .
მართვა	ცხელი საპნიანი წყალი : გაწმინდეთ ნოტიო ჭურჭლის ჩვარით და შემდეგ რბილი ჩვრით / პირსახოცით გაამშრალეთ . ტენიანობის შეღწევით ელექტრო შოკის რისკი . ტენიანობის შეღწევით , ელექროობის დაზიანების რისკი . საოპერაციო მართვის საშუალებები არასოდეს გაწმინდოთ სველი ჩვარის გამოყენებით . არ გამოიყენოთ რაიმე სახის უჟანგავი ფოლადის საწმენდები .

მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრების გაწმენდა

ეს ინსტრუქცია მოქმედია მოწყობილობის მრავლობითი ვარიანტებისათვის . შესაძლოა აღწერილი იყოს ინდივიდუალური ფუნქციები , რომლითაც არ არის აღჭურვილი თქვენი მოწყობილობა .

⚠ გაფრთხილება – ხანძრის რისკი !
ცხიმის ფილტრში არსებულ ცხიმის ნარჩენებს შეიძლება ცეცხლი წაეკიდოს .
გაწმინდეთ ცხიმის ფილტრი , სულ მცირე ყოველ 2 თვეში ერთხელ .
არასოდეს ამუშაოთ დანადგარი ცხიმის ფილტრის გარეშე .

მითითებები

- არ გამოიყენოთ აგრესიული , მჟავა ან ტუტე გამწმენდი აგენტები .
- მეტალის, ბადისებრი ცხიმის ფილტრის გაწმენდისას, ნოტიო ჩვრის გამოყენებით ასევე გაწმინდეთ მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრის დამჭერი .
- მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრის გაწმენდა შესაძლებელია ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ან ხელით .

ხელით გაწმენდისას :

მითითება : ჩამჯდარი ჭუჭყის წინააღმდეგ , შეგიძლიათ ცხიმის სპეციალური მოსაშორებელი ხსნარი გამოიყენოთ. მისი შეკვეთა ონლაინ მაღაზიაში არის შესაძლებელი .

- დაალბეთ მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრები ცხელ , საპნიან ხსნარში .
- დაწმინდეთ მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრები ჯაგრისით და გაავლეთ .
- დაელოდეთ მეტალის, ბადისებრი ცხიმის ფილტრების დაწრეტას .

ჭურჭლის სარეცხ მანქანაში :

მითითება : მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრების ჭურჭლის სარეცხ მანქანაში გარეცხვამ , შესაძლოა მსუბუქი გაუფერულება გამოიწვიოს . ამას არ გააჩნია ზეგავლენა მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრების ფუნქციონირებაზე .

- ძლიერად დაბინძურებული მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრები არ გარეცხოთ ჭურჭელთან ერთად .
- მეტალის , ბადისებრი ცხიმის ფილტრები თავისუფლად განათავსეთ ჭურჭლის სარეცხ მანქანაში. მეტალის, ბადისებრი ცხიმის ფილტრები არ უნდა იქნას ჩაჭედილი .

მეტალის ფილტრის მოხსნა

1. ფილტრის უჯრის გამოღება
2. დააჭირეთ საკეტს და მიაწექით მეტალის ცხიმის ფილტს უკან და ქვემოთ მიმართულებით . როდესაც ამას აკეთებთ , მოათავსეთ თქვენი მეორე ხელი ფოლადის ცხიმის ფილტრის ქვეშ .
   მითითება : იმისათვის , რომ თავიდან აიცილოთ დაზიანება , არ მოკეცოთ ფოლადის ცხიმის ფილტრი .



3. გამოიღეთ ფოლადის ცხიმის ფილტრი დამჭერიდან .
   მითითება : ცხიმი შეიძლება დაგროვდეს მეტალის ცხიმის ფილტრის ძირზე . დააბალანსეთ ფოლადის ცხიმის ფილტრის , რათა ცხიმი არ გადმოვიდეს .
4. გამოასუფთავეთ მოწყობილობა შიგნიდან , ფოლადის ცხიმის ფილტრების მოხსნის შემდეგ .
5. გაწმინდეთ ფოლადის ცხიმის ფილტრი და დააცადეთ გაშრობა სანამ ხელახლა მოათავსებთ მოწყობილობაში .

მეტალის , ცხიმის , ბადისებრი ფილტრის მონტაჟი

1. ჩასვით მეტალის ბადისებრი ცხიმის ფილტრი . როდესაც ამას აკეთებთ , მოათავსეთ თქვენი მეორე ხელი ფოლადის ცხიმის ფილტრის ქვეშ .
2. მოღუნეთ მეტალის ბადისებრი ცხიმის ფილტრი ზევით და შესვით ის მის ადგილზე .

აქტიური ნახშირის ფილტრის გამოცვლა (მხოლოდ ჰაერის ცირკულირების რეჟიმში)

სუნების ეფექტური ფილტრაციის უზეუნველსაყოფად , ფილტრები რეგულარულად უნდა იცვლებოდეს .

აქტიური ნახშირის ფილტრები უნდა შეცვალოთ ყოველ 4 თვეში .

მითითებები

- აქტიური ნახშირის ფილტრები არ არის თანდართული მოწოდებულ პაკეტში . აქტიური ნახშირის ფილტრების შეძენა შეგიძლიათ სპეციალიზირებულ მოვაჭრესთან , ჩვენს გაყიდვების შემდგომ სამსახურში ან ონლაინ მაღაზიაში .
- აქტიური ნახშირის ფილტრების გაწმენდა ან რეაქტივაცია შეუძლებელია .

1. მოხსენით მეტალის ცხიმის ფილტრი .
2. ჩართეთ ძველი გააქტიურებული ნახშირის ფილტრი და გამოიღეთ სამაგრიდან . A
3. მიაწექით ახალ აქტიურ ნახშირის ფილტრს ჩასამაგრებელში და მოატრიალეთ . B



4. მოარგეთ მეტალის ცხიმის ფილტრი .

? ხარვეზები , როგორ მოვიქცეთ ?

გაუმართაობას ხშირად მარტივი ახსნა აქვს . გაყიდვების შემდგომ სამსახურში დარეკვამდე , გთხოვთ გაეცანით შემდეგ შენიშვნებს .

⚠ **გაფრთხილება – ელექტრო შოკის საფრთხე !**
არაპროფესიონალური შეკეთებითი სამუშაოები საფრთხეს განაპირობებს . შეკეთების სამუშაოების წარმოება და დაზიანებული გაყვანილობის გამოცვლა , ნებადართულია მხოლოდ ჩვენს მიერ კვალიფიცირებული კლიენტთა მომსახურების ტექნიკოსის მიერ . თუ დანადგარი დეფექტურია , გამოაერთეთ ქსელის შტეკერი ან უსაფრთხოების ყუთიდან გამორთეთ დანადგარი . დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას .

ხარვეზების ცხრილი

პრობლემა	შესაძლო მიზეზი	გამოსავალი
დანადგარი არ მუშაობს	შტეკერი არ არის შეერთებული	შეაერთეთ დანადგარი კვების წყაროსთან
	დენის გათიშვა	შეამოწმეთ , მუშაობს თუ არა სამზარეულოს სხვა დანადგარები
	დამცავები დეფექტურია	შეამოწმეთ უსაფრთხოების ყუთი , წესრიგშია თუ არა დანადგარის დამცავი
განათება არ მუშაობს .	LED- ნათურები დეფექტურია .	ამისათვის , წაიკითხეთ თავი :LED- განათების გამოცვლა ".

LED- განათების გამოცვლა

⚠ **გაფრთხილება – ელექტრო შოკის რისკი !**
ნათურების გამოცვლისას , ნათურის სოკეტის კონტაქტები დენგამტარია . ნათურის გამოცვლამდე , გამოაერთეთ დანადგარი მაგისტრალური შეერთებიდან ან გამორთეთ დამცავ ყუთში ავტომატური ამომრთველი .

⚠ **გაფრთხილება – დაზიანების საფრთხე !**
LED- განათების ნათურა ძალიან მკვეთრია და შეიძლება თვალების დაზიანება გამოიწვიოს (რისკის ჯგუფი 1). არ უყუროთ პირდაპირ ჩართულ LED- ნათურას 100 წამზე ხანგრძლივად .

მნიშვნელოვანია! გამოიყენეთ მხოლოდ მსგავსი ტიპისა და სიმძლავრის განათებული საშუალებები .



DRBB/F-4-220-240-E14-35/100

1. ნათურის საფარი მსუბუქად აწიეთ და მოწყობილობის გარეთ გააცურეთ .
2. ნათურების გამოახრახნეთ და მსგავსი ტიპის ნათურით შეცვალეთ .





3. ჩასვით ნათურის საფარი .
4. შეაერთეთ ქსელის შტეკერი , ან ისევ ჩართეთ დამცავები .

კლიენტთა მომსახურების სამსახური

ჩვენთან დარეკვისას, გთხოვთ მოგვაწოდეთ დანადგარის პროდუქტის ნომერი (E ნომ) და წარმოების ნომერი (FD), რათა შევძლოთ თქვენთვის სწორი რჩევის მოცემა . ამ ნომრებიანი სანიშნე დირფიტა შეგიძლიათ დანადგარის შიგნით მოიძიოთ (მასზე წვდომისათვის , მოხსენით მეტალის , ბადისებრი , ცხიმის ფილტრი).

საჭიროების შემთხვევაში , დროის ეკონომიის მიზნით , ქვემოთ მოცემულ ველში შეგიძლიათ ჩაიწეროთ დანადგარის ნომერი და გაყიდვების შემდგომი სამსახურის ტელეფონის ნომერი .

E no.	FD no.
გაყიდვის შემდგომი მომსახურება ☏	

გთხოვთ , გაითვალისწინეთ , რომ გაყიდვების შემდგომი ინჟინერის ვიზიტი ფასიანია , თუ გამოვლენილი იქნება ოპერატორის ხარვეზით გამოწვეული პრობლემა , თუნდაც გარანტიის პერიოდში .

საკონტაქტო მონაცემები ყველა ქვეყნის კლიენტთა მომსახურების სამსახურის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ სიაში .

ენდეთ მწარმოებლის პროფესიონალიზმს . შემდეგ შეგიძლიათ დარწმუნდეთ რომ შესაკეთებელი სამუშაო შესრულებულია გამოცდილი სერვის ტექნიკოსის მიერ , რომელსაც თან ჰქონდა მოწყობილობის ორიგინალი ნაწილები .

აქსესუარები რეცირკულაციის რეჟიმისათვის

(არ არის თანდართული მოწოდებულ შეფუთვაში)

Aktivkohlefilter



DHZ2900

BSH Hausgeräte GmbH
Carl-Wery-Straße 34 81739
München, GERMANY
www.bosch-home.com

A Bosch Company

9001281663
020701